საბა ტაველიშვილი
საქართველოს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.76

მარშალის გეგმა და თურქეთის ინსტიტუციური ტრანსფორმაცია

XX საუკუნის II ნახევარში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ყალიბდება მჭიდრო ურთიერთობები, რომელთა ათვლის წერტილად ლოგიკურია, მივიჩნიოთ თრუმენის დოქტრინა. საკუთრივ თრუმენის დოქტრინის მიზანს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის გავლენის შემცირება და კომუნისტური იდეოლოგიის შეჩერება. საინტერსოა 1949 წელს გამომჟღავნებული გერმანია-საბჭოთა კავშირის საიდუმლო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც გერმანია თანხმდებოდა, მოსკოვის კონტროლს დაქვემდებარებოდა დარდანელისა და ბოსფორის სრუტეები.

ინსტიტუციების გაძლიერებამ (მარშალის გეგმამ) თურქეთი საბოლოოდ ნატოს წევრობამდე მიიყვანა, შესაბამისად ეს უკანასკნელი ხდება ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სამხედრო ბლოკის სრულუფლებიანი და ძლიერი (სამხედრო პოტენციალით), წევრი-სახელმწიფო. ამ კუთხით, კვლევა შეეცდება პასუხი გასცეს ისეთ კითხვებს როგორებიცაა:

- რა მატერიალური გავლენა მოახდინა, მარშალის გეგმამ, თურქეთის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო ინსტიტუციებზე?
- რა გავლენა მოახდინა თურქეთის პოლიტიკურ ელიტასა და საზოგადოებრივ აზრზე მისი სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართულმა მოლაპარაკებებმა?

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ურთიერთობები თურქეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატების შორის ახალ აქტიურ და ინტენსიურ ფაზაში გადადის.

ე.წ. *მარშალის* გეგმის ოფიციალურად გამოქვეყნებამდე, ჯორჯ მარშალმა, რომელიც უკვე სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის თანამდებობას იკავებდა, ხაზგასმით აღნიშნა: *„ჩვენი პოლიტიკა არც ერთი ქვეყნისა და დოქტრინის წინააღმდეგ არ არის მიმართული, არამედ შიმშილის, სიღატაკის, ქაოსისა და სასოწარკვეთის წინააღმდეგ ბრძოლას ემსახურება. მისი მიზანია მსოფლიო ეკონომიკის გამოცოცხლება, რათა ისეთი სოციალური და პოლიტიკური პირობები შეიქმნას, რომელიც თავისუფალი ინსტიტუციების არსებობას უზრუნველყოფს" (The George C. Marshall Foundation, 2023)*

1947 წელს საკუთარ გამოსვლაში აშშ-ის პრეზინდეტმა ჰარი თრუმენმა ისაუბრა თურქეთსა და საბერძნეთზე, რომ მათ აუცილებლად ესაჭიროებათ ამერიკის ეკონომიკური და სამხედრო მხარდაჭერა. ამავე წლის 12 ივლისს, ამერიკასა და თურქეთს შორის გაფორმდა ხელშეკრულება. ხელშეკრულებას ხელი მოეწერა ანკარაში. ამერიკის მხრიდან ხელს აწერდა ელჩი ედვინ უილსონი და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰასან საკა. ამ ხელშეკრულებით თურქეთმა უკვე სოლიდური ადგილი დაიმკვიდრა აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში (ATAGENÇ, TOPRAK, 2019). აღნიშნული ხელშეკრულებით, პუნქტობრივად გათვალისწინებული იყო თუ როგორ და რა რაოდენობის თანხა, კრედიტი თუ გრანტი უნდა მიეღო თურქეთის რესპუბლიკას. ამავე დოკუმენტში ხაზგასმულია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტი, რომლის მიხედვითაც თურქეთის მთავრობას არ ჰქონდა უფლება, მიღებული თანხმები საკუთარი სურვილისამებრ გაეხარჯა.

ترუმენის დოქტრინისა და მარშალის გეგმის ძირითად მიზანს წარმოადგენდა, საბჭოთა კავშირის გავლენის შეკავება და პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური, ისევე როგორც სამხედრო პოტენციალის გაძლიერება. თანხობრივ და სამხედრო დახმარებას ყოველთვის წინ უძღვოდა შემსწავლელი ჯგუფის ვიზიტი ბენეფიციარ ქვეყანაში. მაგალითად, მარშალის გეგმის ქოლგის ქვეშ, თურქეთს 1947 წელს ეწვია ამერიკელი გენერალი, ლანსფორდ ოლივერი. მისი ძირითადი მისია იყო თურქეთის სამხედრო პოტენციალის შეფასება და გადაიარაღების გეგმის შედგენა (Gleason, 1971, 173). ვინაიდან ხელშეკრულებაში გარკვევით იყო ფორმულირებული, რომ ბენეფიციარ სახელმწიფოს არ ჰქონდა უფლება საკუთარი შეხედულებით გაენაწილებინა თანხა, ასეთი ვიზიტები პირველ რიგში წარმოადგენდა აუცილებელ ვალდებულებას, თუმცა თუ უფრო ფართო სპექტრით შევხედავთ, ასეთი ვიზიტები და მდგომარეობის ანალიზი უფრო შედეგიანი იქნებოდა თურქეთისთვის, რაც შემდგომში გამოჩნდა კიდეც.

თუმცა აღნიშვნას იმსახურებს ის უნდობლობა, რომელიც მხარეებს ერთმანეთის მიმართ გააჩნდათ. ამერიკის მაღალჩინოსნებს ჯერ კიდევ ახსოვდათ თურქეთის *ნეიტრალური* პოზიცია მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას. ასევე აშშ-ს არ გამორჩენია გერმანიის გულუხვი ფინანსური მხარდაჭერა თურქეთისადმი. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულ დოკუმენტებში ვკითხულობთ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის რიბენტროპის წერილს, რომელიც მან გერმანიის ელჩს თურქეთში, პაპენს გაუგზავნა:

პირადად ელჩს,

შეტყობინება 20 XI – A 6154 - ის თანახმად, გავეცი განკარგულება, დაუყოვნებლივ გამოგეგზავნოთ ოქრო 5 მილიონი ოქროს (ექვივალენტი) რაიხსმარკა. რათა შეძლოთ ჩვენი მეგობრების დახმარება თურქეთში, მათი არასახარბიელო ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე. გთხოვთ, თამამად გახარჯოთ ეს თანხა და მოგვახსენოთ მისი გამოყენების შესახებ.

რიბენტროპი

ბერლინი, 5 დეკემბერი 1942 წ.

*(*Документы Министерства Иностранных Дел Германии, 131*)*

აშშ-ის უნდობლობას ამწვავებდა, თურქეთ-საბჭოთა კავშირის *მეგობრული* ურთიერთობებიც, პირველი საერთაშორისო შეთანხმება ოფიციალურმა ანკარამ 1921 წლის 15 მარტს მოსკოვთან გააფორმა, რომლის მიხედვითაც მხარეები თანხმდებოდნენ სახელმწიფო საზღვრებსა და მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე, რაც ფაქტიურად მომავალი ოცდახუთი წლის განმავლობაში შეინარჩუნა კიდეც თურქეთის რესპუბლიკამ.

თურქეთის საგარეო პოლიტიკური ვექტორის ცვლილება ამერიკის ინტერესშიც შედიოდა. თურქეთს უფრო დიდი შესაძლებლობა ექნებოდა, სრულად ესარგებლა მარშალის გეგმით, ხოლო ამერიკას კი სამხრეთ საზღვარზევე შეეკავებინა საბჭოთა კავშირის გაფართოება. ამიტომ აუცილებელი გახდა, ამერიკას მიეღო ზომები და თურქეთი სრულად ჩამოეცილებინა საბჭოთა კავშირს. აშშ-მა კარგად იცოდა, რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა თურქეთისთვის ჩრდილოეთ საზღვრების დაცვასა და უსაფრთხოებას. ასევე, ამერიკის პოლიტიკური ელიტა კარგად ხვდებოდა, რომ თურქეთის მთავრობა უსაფუძვლოდ და უარგუმენტოდ ვერ უარყოფდა მოსკოვთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, შესაბამისად საჭირო გახდა ახალი და ძლიერი არგუმენტის მოძიება. ასეთად მიჩნეულ იქნა საბჭოთა

კავშირისა და ნაცისტური გერმანიის მოლაპარაკებების საიდუმლო მასალები რომლის მიხედვითაც გერმანია საბჭოთა კავშირს უთმობდა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს.

1949 წელს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირ-გერმანიის 1939-1944 წლების საიდუმლო მოლაპარაკებების დოკუმენტები. დოკუმენტაციებში ვკითხულობთ, რომ 1940 წლის ნოემბერში შედგა შეხვედრა, ჰიტლერს, მოლოტოვსა და რიბენტროპს შორის. მოლაპარაკებები ძირითადად შეეხებოდა მსოფლიოს ახალ წესრიგსა და გავლენის სფეროების გადანაწილებას. 12 ნოემბრის შეხვედრაზე, მოლოტოვსა და ჰიტლერს შორის შედგა საუბარი, რომელიც ეხებოდა შავი ზღვის სრუტეების საკითხს. ჰიტლერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს საკითხი აუცილებლად საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ გადაწყდებოდა და მონროს შეთანხმება აუცილებლად ჩანაცვლებოდა ახალი ხელშეკრულებით (Howard, 1970, 43).

თურქეთის რესპუბლიკაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს ყოველთვის წარმოადგენდა (და წარმოადგენს) შავი ზღვის სრუტეების სუვერენული კონტროლი. ეს საკითხი თურქეთის მთავრობისთვის წითელ ხაზს წარმოადგენდა და შესაბამისად ამ დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ,[1] თურქეთის საგარეო ვექტორი საბოლოოდ შეიცვალა, კეთილმეზობლური ურთიერთობა საფრთხედ გადაიქცა. აუცილებელია აღინიშნოს, რომ აშშ-მა დოკუმენტაცია მხოლოდ ორი წლის გამოაქვეყნა მას შემდეგ, რაც თურქეთი ჩაება მარშალის გეგმაში. ყოველივე ამან ხელი შეუწყო თურქეთის საგარეო პოლიტიკური ვექტორი მიმართულიყო პირდაპირ დასავლეთისკენ და სრულად ესარგებლა აშშ-სგან დახმარებების პაკეტებით, ასევე ეზრუნა სამომავლო თავდაცვითი ორგანიზაციის წევრობაზე, ამას საბჭოთა კავშირთან გაფორმებული ხელშეკრულებები უკვე ვეღარ შეზღუდავდნენ, ვინაიდან ნათლად გამოჩნდა „მეგობრული“ ხელშეკრულების უკან საბჭოთა კავშირის მიერ თურქეთის ნაციონალური უსაფრთხოების ხელყოფის მცდელობები.

მარშალის გეგმის ფარგლებში თურქეთში შეიქმნა არაერთი სამხედრო გადამზადების ცენტრი. ერთ-ერთი გამორჩეული და წარმატებული იყო, 1948 წელს შექმნილი JUSMMAT (აშშ-ს ერთობლივი სამხედრო მისია თურქეთის დასახმარებლად). მისიის ძირითად მიზანს წარმოადგენდა თურქი სამხედროებისთვის ამერიკული შეიარაღების გამოყენებისა და ტექნიკური მოვლა-შენახვის ინსტრუქციების გაცნობა. შთაბეჭდილება რჩება, რომ მარშალის გეგმა ითვალისწინებდა არა მხოლოდ თურქეთის მატერიალურ დახმარებას, არამედ მის მომზადებას ახალ თავდაცვით ორგანიზაციაში გაწევრიანებისთვის. თურქეთი უკვე მზად უნდა ყოფილიყო ახალ საერთაშორისო ორგანიზაციაში წევრობისთვის, ნებისმიერი სახის ინსტიტუციური თუ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა განვითარებული უნდა შეხვედროდა წევრობას.

1949 წლის პირველ კვარტალში, ეკონომიკური დახმარების პირველი ფაზის, 100 მილიონი აშშ დოლარის *(მსყიდველობითი უნარით 2023 წელს იქნებოდა დაახლ. 1.2 მილიარდი აშშ დოლარი)* წარმატების ათვისების შემდეგ, სახელმწიფო დეპარტამენტში უკვე ოფიციალურად დაიწყეს საუბარი თურქეთის ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებაზე.

1949 წლის 5 მაისის დოკუმენტით, რომელიც შედგენილია „სახელმწიფო პოლიტიკის დეპარტამენტის“ მიერ, სამსახური იძლევა რეკომენდაციას, რომ გათვალისწინებულ იქნეს

[1] მანამდე სტალინი ცდილობდა თურქეთი დაერწმუნებინა, სრუტეების ერთობლივ სამხედრო დაცვაზე, შესაბამისად ბოსფორსა და დარდანელზე უნდა ყოფილიყვნენ როგორც თურქული, ასევე საბჭოთა ჯარებიც.

თურქეთის მისწრაფება და მონდომება გაწევრიანდეს ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში და თუ ეს შეუძლებელი იქნება სხვადასხვა მიზეზთა გამო მაშინ შეიქმნას ახალი რეგიონული თავდაცვით ორგანიზაცია, რომელშიც გაწევრიანდება თურქეთი (Fine, Slany, Burke, Aandahl, Stauffer, Greenhut, 1977, 549).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ს მიერ თურქეთში განხორციელებული საექსპედიციო მისიების წყალობით, რომლის საფუძველზეც ვაშინგტონში ადგენდნენ დახმარების პაკეტის ოდენობას მათ შორის მისი მოხმარებისა და გახარჯვის გეგმას დადებითად აისახა თურქეთის სამომავლო სამხედრო პოტენციალის გაძლიერებაზე. 1947 წლის 12 ივლისის ხელშეკრულებით გათვალისწინებულმა შეზღუდვებმა დიდი კითხვის ნიშნები გააჩინა თურქეთის მმართველ ელიტაში, რომელიც უკავშირდებოდა სუვერენიტეტის შეზღუდვის საფრთხეებს, თუმცა ზუსტად იმ პუნქტმა რომელსაც დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა, ხელი შეუწყო თურქეთის სამხედრო, ეკონომიკურ და ინსტიტუციურ დადებით ტრანსფორმაციას, რომელიც საბოლოოდ დადასტურდა 1952 წელს თურქეთის რესპუბლიკის ნატოში გაწევრიანებით.

ლიტერატურა:

- Gleason S.E. Fine H.A. & Reid J.G. (1971): United States economic and military aid to Greece and Turkey: the Truman Doctrine // "Foreign Relations of the United States, 1947, The Near East and Africa", №12. 1-391
- Fine, Slany, Burke, Aandahl, Stauffer, Greenhut (1977): Principal problems and policies in United States relations with Turkey // "Foreign Relations of the United States, 1949, The Near East South Asia, and Africa", №6. Doc. 1139-1164
- Howard, Harry N. (1970): The Turkish Straits After World War II: Problems and Prospects // "Balkan Studies" №11. 35-60
- Atagenç İ. Ö, Toprak N. G. (2019): Türk-Amerikan İlişkilerinde 12 Temmuz 1947 Antlaşması ve Türk Siyasal Hayatına Etkileri // " Gazi Akademik Bakış", №12. 91-117
- Германская Политика в Турции (1941-1943гг.) (1946): #34 Риббентроп – Папену // "Документы Министерства Иностранных Дел Германии" №2. 131.
- The George C. Marshall Foundation. (2023). The Marshall Plan Speech. მ ო ძ ი ე ბ უ ლ ი : https://www.marshallfoundation.org/the-marshall-plan/speech/

Saba Tavelishvili

University of Georgia

Marshall Plan and the institutional transformation of Turkey

Abstract

In the second half of the XX century, relations between the USA and Turkey are getting tight and close. However, a new phase of relations arose a new need, fundamentally changing the foreign policy vector and ideological factor of Turkey. It would be logical if Truman's doctrine would be considered the starting point and decisive aspect of the relations between the sides, as well as revealing secret documents, by the US State Department, where secret negotiations between Nazi Germany and the Soviet Union were described. Truman's Doctrine was constructed to detain the Soviet Union and prevent communism from spreading.

Institutional development (that was the consequence of Marshall's Plan), prompted Turkey to become a member-state of the powerful military alliance NATO. The abovementioned ideas and facts arise new questions for further analysis, accordingly, the article would try to answer the following questions:

- What material impact has the Marshall Plan made on Turkey's economic, political, and military institutions?
- What was the ideological impact on the Turkish political elite, after revealing the secret negotiations between Nazi Germany and the Soviet Union, discussing, and dividing Turkish straits?